

თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №22

2013 წლის 23 მაისი

ქ. ბათუმი

**„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის №61
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის №61 დადგენილებაში (სსმ, 09.01.2013 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- ა) დადგენილების I თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თავი I

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | | |
|--------------------|-----------------|-----------------|-----------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 202436.4 | 151423.8 | 78679.0 | | 78679.0 |
| გადასახადები | 11918.1 | 12619.0 | 12570.0 | | 12570.0 |
| გრანტები | 176229.6 | 116363.9 | 51439.0 | | 51439.0 |
| სხვა შემოსავლები | 14288.7 | 22440.9 | 14670.0 | | 14670.0 |
| ხარჯები | 64781.6 | 75449.2 | 58906.6 | 38.4 | 58868.2 |
| შრომის | 5103.7 | 7322.7 | 7896.2 | | 7896.2 |



| | | | | | |
|---------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|--------------|-----------------|
| ანაზღაურება | | | | | |
| საქონელი და მომსახურება | 16831.9 | 17852.2 | 16933.2 | 16.0 | 16917.2 |
| პროცენტი | 1741.0 | 2202.4 | 2601.9 | | 2601.9 |
| სუბსიდიები | 12900.4 | 16444.0 | 19643.8 | | 19643.8 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2974.5 | 4477.8 | 5033.3 | | 5033.3 |
| სხვა ხარჯები | 25230.1 | 27150.2 | 6798.2 | 22.4 | 6775.8 |
| საოპერაციო სალდო | 137654.8 | 75974.7 | 19772.4 | -38.4 | 19810.8 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 102122.5 | 93590.3 | 37486.9 | | 37486.9 |
| ზრდა | 108804.9 | 107271.2 | 39486.9 | | 39486.9 |
| კლება | 6682.4 | 13680.9 | 2000.0 | | 2000.0 |
| მთლიანი სალდო | 35532.3 | -17615.6 | -17714.5 | -38.4 | -17676.1 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 22127.9 | -19133.9 | -19316.8 | -38.4 | -19278.4 |
| ზრდა | 22127.9 | | | | |
| ვალუტა, დეპოზიტები | 22127.9 | | | | |
| კლება | | 19133.9 | 19316.8 | 38.4 | 19278.4 |
| ვალუტა, დეპოზიტები | | 19133.9 | 19316.8 | 38.4 | 19278.4 |
| ვალდებულებების ცვლილება | -13404.4 | -1518.3 | -1602.3 | | -1602.3 |
| კლება | 13404.4 | 1518.3 | 1602.3 | | 1602.3 |
| სესხები | 13404.4 | 1518.3 | 1602.3 | | 1602.3 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |



2. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | | |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 209118.9 | 165104.8 | 80679.0 | | 80679.0 |
| შემოსავლები | 202436.4 | 151423.8 | 78679.0 | | 78679.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 6682.4 | 13680.9 | 2000.0 | | 2000.0 |
| გადასახდელები | 186991.0 | 184238.7 | 99995.8 | 38.4 | 99957.4 |
| ხარჯები | 64781.6 | 75449.2 | 58906.6 | 38.4 | 58868.2 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 108804.9 | 107271.2 | 39486.9 | | 39486.9 |
| ვალდებულებების კლება | 13404.4 | 1518.3 | 1602.3 | | 1602.3 |
| ნაშთის ცვლილება | 22127.9 | -19133.9 | -19316.8 | -38.4 | -19278.4 |

მუხლი 2. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის შემოსავლები 78679.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|--------------------|------------------|------------------|-----------------|
| შემოსავლები | 202,436.4 | 151,423.8 | 78,679.0 |
| გადასახადები | 11,918.1 | 12,619.0 | 12,570.0 |
| გრანტები | 176,229.6 | 116,363.9 | 51,439.0 |



| | | | |
|------------------|----------|----------|----------|
| სხვა შემოსავლები | 14,288.7 | 22,440.9 | 14,670.0 |
|------------------|----------|----------|----------|

მუხლი 3. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის გადასახადები 12570.0 ათასი ლარის ოდენობით:

| (ათას ლარებში) | | | | |
|----------------|---------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
| 11 | გადასახადები | 11,918.1 | 12,619.0 | 12,570.0 |
| 113 | გადასახადები ქონებაზე | 11,911.0 | 12,616.3 | 12,570.0 |
| 1131 | გადასახადები უძრავ ქონებაზე | 11,911.0 | 12,616.3 | 12,570.0 |
| 11311 | ქონების გადასახადი | 11,911.0 | 12,616.3 | 12,570.0 |
| 113111-113112 | საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 10,080.9 | 10,934.2 | 11,000.0 |
| 113113 | ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 544.7 | 673.8 | 520.0 |
| 113114-113115 | მიწაზე ქონების გადასახადი | 1,285.4 | 1,008.3 | 1,050.0 |
| 116 | სხვა გადასახადები | 7.1 | 2.7 | |

მუხლი 4. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის გრანტები 51439.0 ათასი ლარის ოდენობით:

| (ათას ლარებში) | | | | |
|----------------|--|-----------------|-----------------|-----------------|
| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
| 13 | გრანტები | 176229.6 | 116363.9 | 51439.0 |
| 133 | სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები | 176229.6 | 116363.9 | 51439.0 |
| 1331 | მიმდინარე დანიშნულების გრანტები | 176229.6 | 116363.9 | 51439.0 |



| | | | | |
|-------|---|----------|----------|---------|
| | ტრანსფერი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 175853.6 | 108559.4 | 45117.3 |
| 13311 | გათანაბრებითი ტრანსფერი | 48865.9 | 40975.5 | 44494.8 |
| 13312 | სპეციალური ტრანსფერი | 126987.7 | 64885.6 | |
| | ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 120134.1 | 64024.5 | |
| | ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 6853.6 | 861.1 | |
| | საქართველოს რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან | 4686.3 | 513.1 | |
| | საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან | 1271.9 | 300.0 | |
| | საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან | 895.4 | 48.0 | |
| 13312 | სხვა სპეციალური ტრანსფერი | | 2698.2 | 622.5 |
| 13312 | სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | 376.0 | 7804.5 | 6321.7 |

მუხლი 5. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 14670.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|-------|---|-----------------|-----------------|-----------------|
| 14 | სხვა შემოსავლები | 14288.7 | 22440.9 | 14670.0 |
| 141 | შემოსავლები საკუთრებიდან | 2797.9 | 7896.3 | 2675.0 |
| 1411 | პროცენტები | 1925.9 | 6980.4 | 1800.0 |
| 1415 | რენტა | 872.1 | 915.9 | 875.0 |
| 14151 | მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 291.1 | 283.1 | 250.0 |



| | | | | | |
|---------|--|--------|--------|--------|--|
| 14154 | შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 580.9 | 632.8 | 625.0 | |
| 142 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 8634.9 | 9995.8 | 9300.0 | |
| 1422 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 8620.1 | 9990.2 | 9300.0 | |
| 14223 | სანებართვო მოსაკრებლები | 215.4 | 373.9 | 300.0 | |
| 1422312 | მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე | 215.4 | 373.9 | 300.0 | |
| 14227 | სახელმწიფო ბაჟი | -0.1 | | | |
| 14229 | საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.9 | 1.4 | | |
| 142212 | სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 13.2 | 10.2 | | |
| 142213 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 7338.5 | 7976.6 | 7000.0 | |
| 142214 | მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 1042.6 | 1605.6 | 2000.0 | |
| 142299 | სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 9.6 | 22.5 | | |
| 1423 | არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 14.8 | 5.6 | | |
| 14232 | შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14.8 | 5.6 | | |
| 142321 | შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14.8 | 5.6 | | |
| 143 | სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 2370.6 | 3188.1 | 2350.0 | |



| | | | | |
|-----|--|-------|--------|-------|
| 145 | შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 485.3 | 1360.7 | 345.0 |
|-----|--|-------|--------|-------|

მუხლი 6. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ხარჯები 58906.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|----------|-------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 2 | ხარჯები | 64781.6 | 75449.2 | 58906.6 |
| 21 | შრომის ანაზღაურება | 5103.7 | 7322.7 | 7896.2 |
| 22 | საქონელი და მომსახურება | 16831.9 | 17852.2 | 16933.2 |
| 24 | პროცენტი | 1741.0 | 2202.4 | 2601.9 |
| 25 | სუბსიდიები | 12900.4 | 16444.0 | 19643.8 |
| 27 | სოციალური უზრუნველყოფა | 2974.5 | 4477.8 | 5033.3 |
| 28 | სხვა ხარჯები | 25230.1 | 27150.2 | 6798.2 |

მუხლი 7. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 37486.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 39486.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|-------|---|-----------------|-----------------|-----------------|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 1091.5 | 1835.5 | 895.8 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 64.3 | 8.4 | |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 102831.1 | 92415.0 | 33076.3 |



| | | | | |
|------------|---|-----------------|-----------------|----------------|
| 04 00 | განათლება | 1183.5 | 2423.7 | 3320.3 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 3634.5 | 6445.4 | 1020.2 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | 4143.2 | 1174.3 |
| სულ | | 108804.9 | 107271.2 | 39486.9 |

ბ) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 2000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|-----------|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 31 | არაფინანსური აქტივები | 6682.4 | 13680.9 | 2000.0 |
| 311 | ძირითადი აქტივები | 3783.6 | 9811.0 | 500.0 |
| 314 | არამწარმოებლური აქტივები | 2898.8 | 3870.0 | 1500.0 |

მუხლი 8. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 98393.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|------------|---|-----------------|-----------------|-----------------|
| 7 | სულ | 173586.6 | 182720.4 | 98393.5 |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 9748.2 | 13997.1 | 14260.2 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 7964.0 | 11287.8 | 11658.3 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 7964.0 | 11287.8 | 11017.4 |



| | | | | | |
|------------|---|----------------|----------------|----------------|--|
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | | | 640.9 | |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 1741.0 | 2645.3 | 2601.9 | |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 43.1 | 64.0 | | |
| 702 | თავდაცვა | | 38.8 | 45.0 | |
| 7025 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში | | 38.8 | 45.0 | |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 347.4 | 55.9 | | |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 347.4 | 55.9 | | |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 30572.2 | 43029.7 | 24346.6 | |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | | 9.7 | 74.9 | |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | | 9.7 | 74.9 | |
| 7045 | ტრანსპორტი | 30572.2 | 34661.0 | 23808.2 | |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 30572.2 | 34661.0 | 23808.2 | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | | 8359.0 | 463.5 | |
| 705 | გარემოს დაცვა | 10805.6 | 9035.9 | 11547.8 | |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 7914.4 | 6205.1 | 6439.9 | |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 2891.1 | 2830.7 | 5107.9 | |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 95206.1 | 77833.0 | 18326.9 | |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 77167.8 | 51489.6 | 8083.7 | |
| 7063 | წყალმომარაგება | 14941.2 | 22653.1 | 5529.5 | |
| 7064 | გარე განათება | 3097.0 | 3690.3 | 3900.2 | |
| | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა | | | | |



| | | | | | |
|------------|---|----------------|----------------|----------------|--|
| 7066 | საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | | 813.5 | |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 504.3 | 692.0 | 1882.1 | |
| 7071 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | 101.9 | 129.0 | 173.4 | |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | 101.9 | 129.0 | 173.4 | |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 21.1 | 152.6 | 112.8 | |
| 70722 | სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურება | 21.1 | 152.6 | 112.8 | |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | 131.3 | 81.5 | 122.7 | |
| 70732 | სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება | 131.3 | 81.5 | 61.6 | |
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | | | 61.1 | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 121.4 | 120.3 | 1005.3 | |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 128.7 | 208.5 | 467.9 | |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 16052.0 | 23354.0 | 13855.7 | |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 9280.1 | 18641.4 | 8786.9 | |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 6093.4 | 4352.8 | 4698.8 | |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 678.5 | 359.8 | 370.0 | |
| 709 | განათლება | 7890.6 | 6771.3 | 8833.3 | |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 4410.3 | 6771.3 | 8833.3 | |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 3480.3 | | | |
| 710 | სოციალური დაცვა | 2460.2 | 7912.8 | 5295.9 | |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 27.5 | 22.7 | 27.8 | |



| | | | | |
|-------|--|--------|--------|--------|
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 27.5 | 22.7 | 27.8 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 503.1 | 504.5 | 545.2 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 852.2 | 1135.5 | 1509.5 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას | 1064.3 | 6202.2 | 3213.4 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 13.2 | 47.9 | |

მუხლი 9. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -17676.1 ათასი ლარის ოდენობით:

მუხლი 10. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -19316.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 19316.8 ათასი ლარის ოდენობით:

| (ათას ლარებში) | | | | |
|----------------|-------------------------------------|-----------------|------------------|------------------|
| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
| 32 | ფინანსური აქტივების ცვლილება | 22,127.9 | -19,133.9 | -19,316.8 |
| | ზრდა | 22,127.9 | | |
| 321 | საშინაო | 22,127.9 | | |
| 3212 | ვალუტა და დეპოზიტები | 22,127.9 | | |
| | კლება | | 19,133.9 | 19,316.8 |
| 321 | საშინაო | | 19,133.9 | 19,316.8 |
| 3212 | ვალუტა და დეპოზიტები | | 19,133.9 | 19,316.8 |

მუხლი 11. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება



1. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 1602.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 1602.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

| კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|------|-------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 33 | ვალდებულებების ცვლილება | -13404.4 | -1518.3 | -1602.3 |
| | კლება | 13404.4 | 1518.3 | 1602.3 |
| 331 | საშინაო | 13404.4 | 1518.3 | 1602.3 |
| 3314 | სესხები | 13404.4 | 1518.3 | 1602.3 |

ბ) დადგენილების II თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თავი II

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

1 ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტის შესაბამისად დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში. ნორმალური ქუჩა და გზა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას.



1.1

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებს და დონეს. ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის. ნორმალური ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე. ამავე დროს, ქ. ბათუმს გააჩნია ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ტრანზიტული მიმოსვლის თვალსაზრისით. რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო კორიდორის შექმნას განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. ქალაქის მოვლილი ქუჩები, გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ.

აქტუალურია ასევე ქალაქში მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს მუნიციპალური ავტობუსების სისტემის გაუმჯობესებას.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე);

რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების და მათი დამაკავშირებელი ქუჩების მონაკვეთების რეკონსტრუქციის სამუშაოები;

1.1.1

ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია (ჭავჭავაძის ქუჩიდან მემედ აბაშიძის ქუჩამდე)

ხახუტაიშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია (შ. ხიმშიაშვილის ქუჩიდან ფიროსმანის ქუჩამდე)

ფიროსმანის ქუჩის რეკონსტრუქცია;

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ქუჩებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა;

აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია;

ხიდებისა და სახიდე გადასასვლელების მოწყობა-რეკონსტრუქცია;

ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების კაპიტალური რემონტი;

ქალაქის ქუჩების მოვლისათვის საჭირო სპეც. ტექნიკის შეძენა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაცია

1.1.2

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია;

სატრანსპორტო-საგზაო რეგულირების თანამდებროვე საშუალებების დანერგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

მუნიციპალურ ტრანსპორტის ტარიფების სუბსიდირების მიზნით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ საოპერაციო დეფიციტის დაფარვა;

ახალი სისტემებისა და ტექნიკის დანერგვის მიზნით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ კაპიტალის ზრდა.

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)



ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მოსახლეობის ცხოვრებისეული პირობებს ქმნის, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

ქალაქის დინამიური ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, კომუნალური სფეროს და მართვის სისტემებში ცვლილებებისა და ნოვაციების გარეშე შეუძლებელია მისი ეფექტური ფუნქციონირება.

1.2

კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანი პროცესი დაიწყო ბოლო ხუთი წელია, თუმცა სამუშაოების მოცულობისა და ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე უახლოეს მომდევნო წლებშიც აღნიშნული სფეროს განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“ რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი ითვალისწინებს 2016 წლამდე ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის სრულ რეაბილიტაციას.

სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია;

1.2.1 ნინოშვილის ქუჩაზე მთავარი სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა;

ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია;

ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობა და არსებულის რეკონსტრუქცია;

წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

შპს „ბათუმის წყალი“-ს კაპიტალის ზრდა (ადმინისტრაციული შენობის რემონტის მიზნით);

1.2.2. შპს „ბათუმის წყალი“-ს კაპიტალის ზრდა (მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება და წყლის ქსელში ჩართვა);

ერისთავის ქუჩაზე წყლის სისტემის რეკონსტრუქცია;

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

1.2.3

ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობა.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 04)

1.2.4

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების ნაწილის და დამატებული ღირებულების გადასახადის თანადაფინანსება;

მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება, წყალმომარაგების დაყენება.

ქალაქის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემის მომსახურების ტარიფების შენარჩუნების მიზნით შპს „ბათუმის წყალის“ სუბსიდირება

ქალაქის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 05)

1.2.5

ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;

ნარჩენების გატანა;



"მწვანე ყუთების" დამზადება-განთავსება.

1.2.6

სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაცია.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

1.2.7

განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია;

ელექტროენერჯის საფასურის დაფარვა;

ქალაქის ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 08)

სახლების სახურავების შეკეთება-მოწყობა;

სახლების წყლისა და საკანალიზაციო სისტემის შეცვლა;

სახლების სადარბაზოების კეთილმოწყობა;

ლიფტების შეკეთება;

1.2.8

სახლების ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

ქალაქში არსებული ავარიული სახლების შეკეთება-რეაბილიტაცია;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის მართვა.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

1.3

ქ. ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარების პერსპექტივები, ასევე გეოგრაფიული გარემო ხელს უწყობს ბათუმს, რათა იგი გადაიქცეს შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად, მაგრამ ბუნებრივი რესურსების გარდა აუცილებელია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზანმიმართული პოლიტიკა, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ უფრო მეტი ტურისტი და დამსვენებელი არა მარტო ტურისტული სეზონის, არამედ მთელი წლის განმავლობაში.

ინფრასტრუქტურის განვითარებით და კეთილმოწყობის პროექტების რეალიზებით შესაძლებელია ქალაქის ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება და უახლოეს მომავალში მაქსიმალური ეფექტის მიღება როგორც მოსახლეობის დასაქმების, ასევე შემოსავლების გაზრდის მხრივ.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

1.3.1

ქალაქში სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

ქალაქში ავარიული სახლების გამაგრების საექსპერტო დასკვნებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;



მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა.

1.3.2 ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია;

უსახური და უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას თვითმმართველი ქ. ბათუმის მონაწილეობით გასაფორმებელი ხელშეკრულებების საჯარო რეესტრის და სანოტარო მომსახურება, ქონების შეფასება.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქ. ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 ნოემბრის #92 განკარგულების შესაბამისად, ქონების მესაკუთრეებზე კომპენსაციების გაცემა

1.3.3 ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელების მიზნით ან/და ქალაქის ტერიტორიებზე ექსპროპრიაციის განხორციელებისათვის ქონების მესაკუთრეებზე კომპენსაციების გაცემა

ქ. ბათუმის მერიის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი სხვა ტიპის კომპენსაციების გაცემა.

ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 04)

საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება;

1.3.4 საზაფხულო თეატრის მშენებლობის დასრულება და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ქალაქის გაფორმება (პროგრამული კოდი 03 03 05)

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

1.3.5 წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

ფეიერვერკების შეძენა-გასროლა;

ქანდაკეებისა და მემორიალების მოწყობა.

პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

ქალაქის ქუჩებსა და პარკებში დასარგავად ხე-მცენარეების შეძენა;

1.3.6 ზღვისპირა ბილიკის მოწყობა.

ვარდების სკვერის, გორგასალის და გრიბოედოვის ქუჩების კვეთში არსებული სკვერის კეთილმოწყობა;

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 07)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებების განხორციელება;

1.3.7



ქალაქის გამწვანებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

ყვავილებისა და ხე-მცენარეების შექმნა.

1.3.8 ბათუმის განვითარების ფონდი (პროგრამული კოდი 03 03 08)

ბათუმის განვითარების პროექტების შემუშავება-მომზადება და მათ განხორციელებაში და რეალიზებაში მონაწილეობის მიღება.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 09)

სასაფლაოების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;

1.3.9 სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა.

პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

2

განათლებაზე ზრუნვა იწყება ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება სკოლამდელი განათლების დაფინანსება. ბავშვის ადრეული განვითარება ის საძირკველია, რომელზეც შემდეგ საზოგადოებისათვის სრულფასოვანი, ჯანსაღი პიროვნება შენდება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის ადრეულ განვითარებასა და აღზრდაზე ზრუნვა, მისთვის განვითარების მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სწორედ ამიტომ, საბავშვო ბაღში აღზრდასა და სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

2.1

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. საბავშვო ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, ბევრ ქვეყანაში არსებობს და წარმოადგენს, ჩვეულებრივ, პირველ რგოლს განათლების სისტემაში. პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების 5500-ზე მეტი აღსაზრდელისთვის შექმნილი იქნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ბავშვთა ბაღებში ნორმალური პირობების უზრუნველყოფა პატარებისთვის მათი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მიზნით; ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სწორი ფიზიკური განვითარება. განხორციელდება საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო მიმდინარე ხარჯების დაფინანსება და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

საბავშვო ბაღების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)

2.1.1

საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება;

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)

2.1.2

ინასარიძის ქ. #22ა-ში მდებარე #6 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო-დაშენების სამუშაოები;

გონიოში არსებული შენობის (საბავშვო ბაღის) სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

266ბ კვარტალში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ და ადლიის



დასახლები საბავშვო ბაღების მშენებლობის სამუშაოები;

მაზნიაშვილის ქ. №8ა-ში მდებარე №5, ინასარიძის ქ. №14-ში მდებარე №8 და ჯავახიშვილის ქ.82-ში მდებარე №21 საბავშვო შენობების სარეკონსტრუქციო-დაშენების სამუშაოები.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

3

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ეკონომიკური განვითარების პარალელულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების ხელშეწყობა და კულტურული ფასეულობების დახვეწა. მრავალი სოციალური-ეკონომიური ცვლილების კვალდაკვალ, რამაც მსოფლიო ჩვენით დააინტერესა, მნიშვნელოვანია უნიკალური კულტურული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ამ მხრივ მიმართული კულტურის პროგრამის ღონისძიებები ხელს შეუწყობს ბათუმის საერთაშორისო-საფესტივალო ქალაქად დამკვიდრებას, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურებას, აქ მოღვაწე და მოწვეულ ხელოვანთა წარმოჩენასა და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას, ნოვატორული იდეების წარმოჩენასა და წახალისებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას.

ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქ. ბათუმის ბიუჯეტიდან გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიების დაფინანსება, კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პირების წახალისება და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება რათა ქალაქმა შეძლოს საერთაშორისო სპორტული და კულტურული ღონისძიებების და აქტივობების მაღალ დონეზე ორგანიზება და ჩატარება.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

3.1

სპორტული ცხოვრების პროპაგანდა, მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ერის ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის მომავლისა. დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და საკლუბო გუნდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა და რეაბილიტაცია.

სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ბათუმის ადმინისტრაციებში შემავალ უბნებს შორის სპორტული თამაშები;

საერთაშორისო ტურნირი საპლაჟო ფეხბურთში ბათუმის თასზე;

საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ახალგაზრდებს შორის;

3.1.1

სპორტული თამაშები სკოლებს შორის;

საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძის თასზე;

საერთაშორისო ტურნირი ვ. ალთაბაევის თასზე კალათბურთში;

სპორტის დამსახურებულ მოღვაწეთა საახალწლო-საშობაო შეხვედრა;

ქვიშის ფრენბურთში საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;



სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

საფეხბურთო კლუბ "დინამო ბათუმი"-ს სუბსიდირება;

სარაგბო კლუბ "ბათუმი"-ს სუბსიდირება;

ფრენბურთის კლუბ "ბათუმი"-ს სუბსიდირება;

3.1.2 ხელბურთის კლუბი "ბათუმი"-ს სუბსიდირება;

წყალბურთის კლუბ "ბათუმი"-ს სუბსიდირება;

ბათუმის საცხენოსნოს კლუბის სუბსიდირება;

კლუბ „ბათუმის ავტოდრომი“-ს სუბსიდირება;

"საჭადრაკო კლუბი ნონა"-ს სუბსიდირება.

სპორტის ზამთრის სახეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ფიგურული სრიალის სპორტის სახეობის განვითარება;

3.1.3 სპორტული და გასართობი ხასიათის პროექტების დაგეგმვა და ორგანიზება;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება;

სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 02)

3.1.4 არსებული მცირე ზომის ყინულის მოედნის გადაკეთება მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზად.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელოვანი საზოგადოების განვითარებას, მათი შესაძლებლობების ზრდას და კავშირების გაღრმავებას მსოფლიოს თანამედროვე სახელოვნებო ინსტიტუტებთან. მნიშვნელოვანია ქალაქის კულტურული ცხოვრების გაჯანსაღება, გამრავალფეროვნება და განვითარება რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბათუმის როგორც კულტურის მნიშვნელოვანი კერის ცნობადობისა და ტურისტული პოტენციალის ზრდას. ამ მხრივ პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ბათუმის, როგორც ფესტივალების ქალაქის განვითარებას, რაც გამოიხატება ჩვენი ქალაქისათვის ტრადიციული და ახალი ფესტივალების ჩატარებით. ამ მიზანს ემსახურება ასევე ქალაქში არსებული კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

3.2 უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კულტურული ფასეულობების დახვეწა. შემოქმედებითი კონკურსები, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები და დამხმარე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა ამ გამოწვევის დაძლევის საშუალებაა. აღნიშნული პროგრამა ასევე მიზნად ისახავს იმ ადამიანების და ჯგუფების ხელშეწყობას, რომლებიც მოღვაწეობენ კულტურის სხვადასხვა დარგში.

კონკურსებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 01)

კონკურსი - რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის ესკიზის შესაქმნელად;

კონკურსი - საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის ესკიზის შესაქმნელად;



3.2.1 კონკურსი - 9 აპრილის გმირთა მემორიალის ესკიზის შესაქმნელად;
თანამედროვე პოეტებისა და პროზაიკოსების ფორუმის ორგანიზება;
თვითმმართველობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება;
ცნობილ ბათუმელთა საიუბილეო თარიღებისადმი და საპატიო ბათუმელებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;
სხვადასხვა ღონისძიებები.

ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ბათუმის საერთაშორისო არტ ფესტივალის - „მარბელა - ბათუმი“ ორგანიზება;
შავიზღვისპირეთის ქვეყნების ქალ მხატვართა საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;
მოტოციკლეტისტთა (ბაიკერთა) IV საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;

3.2.2 კლასიკური მუსიკის V საერთაშორისო ფესტივალის - „ლამის სერენადები“ ორგანიზება;
ბათუმის საავტორო ფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;
ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;
მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის ორგანიზება;

ქალაქის კულტურული და ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ტურისტული და კულტურული ხასიათის ინიციატივების განხორციელება.

ლიტერატურული საღამოების ორგანიზება;

ბათუმელ ხელოვანთა ხელშეწყობა;

3.2.3 დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები;
ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის ქ. ბათუმში კონფერენციის მხარდაჭერა.

ფილმი ბათუმურ ისტორიებზე;

ფოტო პროექტი "ძველი ბათუმი";

ბათუმელ შემოქმედთა მხარდაჭერა.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

კულტურულ-შემოქმედებითი ხასიათის პროექტების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

3.2.4 ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;

კლასიკური ჟანრის მუსიკის ხელშეწყობა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება;



მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

საბიბლიოთეკო საქმიანობის ორგანიზება;

3.2.5 კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება;

ბიბლიოთეკის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა;

ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების შექმნა.

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ბოტანიკური ბაღის მიმდინარე მოვლა პატრონობა;

3.2.6 ბოტანიკურ ბაღში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

კულტურული ღონისძიებების საკონცერტო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 02 08)

3.2.7 თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების სცენით და განათებით უზრუნველყოფა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

კულტურის სხვადასხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 09)

3.2.8. საახალწლო-საშობაო ღონისძიებების ორგანიზება (გარდამავალი, 2012 წლის დეკემბერი - 2013 წლის იანვარი).

სახელოვნებო და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 10)

3.2.9 მ. ბალანჩვიძის სახელობის ხელოვნების სკოლის სარემონტო სამუშაოების ანაზღაურება.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

3.3 პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ქალაქ ბათუმის ახალგაზრდების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის. მის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი და დაუსაქმებელი ახალგაზრდები. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო მასშტაბის. ახალგაზრდობის საქმეთა მუნიციპალური პროგრამა ქმნის მექანიზმებს რათა ხელი შეეწყოს ბათუმში ახალგაზრდული სფეროს განვითარებას და ეფექტურ მართვას. ცალკეული ღონისძიებები იძლევა შესაძლებლობას ხელი შეეწყოს ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებაში და მათი სამოქალაქო შეგნების ზრდას.

ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 01)

მხიარულთა და საზრიანთა თამაშები მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის;

საკვირაო სკოლა - სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის;

ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“;



სტუდენტთა დასაქმება;

ახალგაზრდული თეატრი;

3.3.1

ბათუმის მოსწავლეთა თვითმმართველობების ფორუმი;

სამთო ახალგაზრდული ბანაკი;

ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული;

ბათუმის სტუდენტური ფესტივალი;

სტუდენტური ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებები;

სკაუტური ორგანიზაციის მხარდაჭრა.

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა განიხილება, როგორც რთული საზოგადოებრივი დინამიკური ფუნქციონალური სისტემა, რომელსაც ადამიანთა საზოგადოება თავისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ქმნის და გამოიყენებს ღონისძიებათა დიდი კომპლექსის განხორციელებისათვის თითოეული ადამიანის და მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვისა და მისი მუდმივი გაუმჯობესების მიზნით.

4

სოციალური დაცვა წარმოადგენს მოქალაქეთა კანონით განმტკიცებული ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სოციალური უფლებების დაცვას და ცხოვრების სოციალურად მიღებული ღონის მიღწევას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამები მიმართულია, რათა უზრუნველყოს ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობა, ზოგიერთი, განსაკუთრებით საშიში დაავადების ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა, მოსახლეობის ინფორმირება, სოციალურად დაუცველ ფენებზე, ქრონიკულად დაავადებულ პირებზე და ბავშვებზე ზრუნვა, ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო სოციალური პირობების შექმნა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

4.1

ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი ამოცანაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობების შესწავლა, მათი გამოვლენა, სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ინდივიდუალური და კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება. მოსახლეობის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის სხვადასხვა პროგრამები და ღონისძიებები.

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ბრონქული ასთმით დაავადების მქონე 19 წლამდე ასაკის პირებისათვის, 0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ასაკით პენსიონერებისათვის სპეციფიური მედიკამენტების მიწოდება;

ეპილევსიით დაავადებულ 19 წლამდე ასაკის, 0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე,



4.1.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ასაკით პენსიონერებისათვის სპეციფიური მედიკამენტების მიწოდება;

მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ასაკით პენსიონერთათვის მედიკამენტების მიწოდება;

პარკინსონით დაავადებული 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ასაკით პენსიონერთათვის მედიკამენტების მიწოდება;

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

